განკარგულება:**g-87.87212441**
თარიღი:**01/09/2021**

განკარგულება №32

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ქორეთში მდებარე შენობისა და მასზე დამაგრებული 1939კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ა(ა)იპ „უხუცეს ქალთა საბჭო“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-6 პუნქტებისა და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს **სოფ. ქორეთში მდებარე შენობისა და მასზე დამაგრებული 1939კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ა(ა)იპ „უხუცეს ქალთა საბჭო“- სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ორი წლის ვადით გადაცემა.** (საკადასტრო კოდი: 50.05.31.468)

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე განსაზღვრული წესით.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.N41)

თამარ ყეინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი